# საქართველო

37012-01-2-201509301624

**საგარეო საქმეთა**
**სამინისტრო**

№ 01/37012
30/09/2015

*ფრიად სასწრაფო*

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

გაცნობებთ, რომ 2015 წლის 18 სექტემბერს ხელი მოეწერა „ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში" ცვლილება ნომერ ხუთის.

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, აღნიშნული ხელშეკრულების ცვლილება ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში სარატიფიკაციოდ წარდგენის მიზნით, გიგზავნით, ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ცვლილების ინგლისურენოვანი დედნისა და ქართულენოვანი ოფიციალურად დამოწმებული თარგმანის ასლებს, განმარტებითი ბარათს, შესაბამისი უწყებების დასკვნებსა და შეთანხმების ფურცელს.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ცვლილების საქართველოს პარლამენტში წარდგენის შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მასზე მომხსენებლად დაინიშნონ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეები: ბატონი გიორგი კაკაურიძე და ბატონი ლაშა ხუციშვილი.

ამასთან, წარმოგიდგენთ ხელშეკრულების ცვლილებასთან დაკავშირებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებულ დამატებით დოკუმენტაციას.

დანართი:
- ხელშეკრულების ცვლილებისა და მისი თარგმანის ასლი;
- უწყებების დასკვნები;
- განმარტებითი ბარათი;
- შეთანხმების ფურცელი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილი.

(ჯამი: 117 ფურცელი).

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის
№ 65776
01 10 2015
113

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

N 07-02/99896
22/09/2015

99896-07-02-2-201509221153

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ხათუნა თოთლაძეს

ქალბატონო ხათუნა,

გიგზავნით დეპონირებისათვის და ძალაში შესვლისათვის საჭირო პროცედურების განსახორციელებლად 2015 წლის 18 სექტემბერს საქართველოსა და USAID-ს შორის ხელმოწერილ „ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში" ცვლილება ნომერი ხუთის ორიგინალს ინგლისურ ენაზე ოფიციალურად დამოწმებულ ქართულ თარგმანთან ერთად.

აღნიშნული ხელშეკრულების ცვლილება ნომერი ხუთი ხელმოწერილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის, ბატონი ნოდარ ხადურის და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო სააგენტოს (USAID) კავკასიის მისიის მოქმედი დირექტორის ბატონი თომას მორისის მიერ.

დანართი:
1. "ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ხელმოწერილი დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში" ცვლილება ნომერი ხუთის ორიგინალი ინგლისურ და ქართულ ენებზე;
2. 2010 წლის 25 თებერვალს ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ხელმოწერილი დახმარების შესახებ ხელშეკრულება ინგლისურ ენაზე ქართულ თარგმანთან ერთად;
3. 2010 წლის 25 თებერვალს ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ხელმოწერილი დახმარების შესახებ ხელშეკრულების 1,2,3,4 ცვლილებები ინგლისურ ენაზე ქართულ თარგმანთან ერთად;
4. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 სექტემბრის N2012 განკარგულების ასლი;
5. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2015 წლის 18 სექტემბრის N382 ბრძანების ასლი;
6. შესაბამისი უწყებების დასკვნები;
7. შეთანხმების ფურცელი;
8. განმარტებითი ბარათი.

პატივისცემით,

დავით ლეჟავა

მინისტრის მოადგილე

ქ.თბილისი, 0114, ვ. გორგასლის ქ. №16, ტელ.:2261412, ფაქსი: 2262409 ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 2261412, Fax:2262409. E-mail: info@mof.ge

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

N 07-01/102584
29/09/2015

102584-07-01-2-201509291539

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ხათუნა თოთლაძეს

ქალბატონო ხათუნა,

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმდინარე წლის 22 სექტემბრის №07-02/99896 წერილზე დამატებით გაცნობებთ, რომ 2015 წლის 18 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის 2010 წლის 25 თებერვალს ხელმოწერილი „ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის დახმარების შესახებ ხელშეკრულების" მეხუთე ცვლილების საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისთვის წარმდგენნი და მომხსენებლები იქნებიან საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეები ბატონი გიორგი კაკაურიძე და ბატონი ლაშა ხუციშვილი.

პატივისცემით,

ცოტნე ყავლაშვილი

მინისტრის მოადგილე

ქ.თბილისი, 0114, ვ. გორგასლის ქ. №16, ტელ.:2261412, ფაქსი: 2262409 ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 2261412, Fax:2262409. E-mail: info@mof.ge

# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
# MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

KA010164533546715

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№6656

25 / აგვისტო / 2015 წ.

საქართველოს ფინანსთა
მინისტრის მოადგილეს,
ბატონ ლაშა ხუციშვილს

ბატონო ლაშა,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2015 წლის 20 აგვისტოს №07-02/88856 წერილით წარმოდგენილი „ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის 2010 წლის 25 თებერვალს ხელმოწერილი დახმარების შესახებ ხელშეკრულების" მეხუთე ცვლილების პროექტი, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს. ამასთან, შევნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ცვლილების პროექტი, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საჭიროებს რატიფიკაციას.

პატივისცემით,

გ. ლორთქიფანიძე

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე

# საქართველო

33020-01-2-201508311113

**საგარეო საქმეთა**
**სამინისტრო**

№ 01/33020
31/08/2015

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

თქვენი 2015 წლის 20 აგვისტოს N.07-02/88858 წერილის პასუხად, რომელიც ეხება „ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის 2010 წლის 25 თებერვალს ხელმოწერილ დახმარების შესახებ ხელშეკრულების" მეხუთე ცვლილების პროექტს, გიგზავნით, საგარეო საქმეთა სამინისტროს დასკვნას აღნიშნული დოკუმენტის თაობაზე.

დანართი: 1 გვერდი.

პატივისცემით,
ირინე ბართაია

დეპარტამენტის დირექტორი

საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტი

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

# საქართველო

32925-01-2-201508271818

## საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/32925
27/08/2015

**დასკვნა**
**„ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის 2010 წლის 25 თებერვალს ხელმოწერილი დახმარების შესახებ ხელშეკრულების“ მეხუთე ცვლილების პროექტის თაობაზე**

საგარეო საქმეთა სამინისტრომ განიხილა „ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის 2010 წლის 25 თებერვალს ხელმოწერილი დახმარების შესახებ ხელშეკრულების“ მეხუთე ცვლილების პროექტი და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ცვლილების საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარება.

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ „საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახმარების შესახებ“ ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.4 პუნქტის თანახმად, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილ იქნეს ცვლილებები, რომლებიც გაფორმდება წერილობითი ფორმით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. აქვე აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულება რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2010 წლის 12 მარტის N.2779-Iს დადგენილებით. შესაბამისად, „საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახმარების შესახებ“ ხელშეკრულებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, აღნიშნული ცვლილება, მისი სავალდებულოდ აღიარებისათვის, ასევე საჭიროებს საქართველოს პარლამენტის რატიფიკაციას.

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

KA020189810544815

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. N12
12, G. Chanturia str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05; 2 99 11 11
Fax.: (+995 32) 2 921534

**№ 09/6212**

**03 / სექტემბერი / 2015 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ ლაშა ხუციშვილს

ბატონო ლაშა,

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განიხილა თქვენი წერილით (N07-02/88845, 20.08.2015წ.) წარმოდგენილი, „ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის 2010 წლის 25 თებერვალს ხელმოწერილი დახმარების შესახებ ხელშეკრულების" მეხუთე ცვლილების პროექტი.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ცვლილების პროექტთან დაკავშრებით, სამინისტროს, კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

მიხეილ ჯანელიძე

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

2-04/2863-15
24.08.2015

საქართველოს ფინანსთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ ლაშა ხუციშვილს

თქვენს 2015 წლის 20 აგვისტოს
N07-02/88854 წერილზე

ბატონო ლაშა,

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განიხილა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ წარმოდგენილი „ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის 2010 წლის 25 თებერვალს ხელმოწერილი დახმარების შესახებ ხელშეკრულების" მეხუთე ცვლილების პროექტი.

გაცნობებთ, რომ ეროვნულ ბანკს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტის მიმართ შენიშვნები არ აქვს.

პატივისცემით,

არჩილ მესტვერიშვილი

ვიცე-პრეზიდენტი

0114 / თბილისი / სანაპიროს 2 / ტელ.: 2406 406, 2406 120/ ფაქსი: 2406 577/ ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge / კოდი: 20410484
2 Sanapiro str/ Tbilisi 0114/ Tel.: 2406 406, 2406 120/ Fax: 2406 577/ E-mail: info@nbg.gov.ge / code: 20410484
www.nbg.ge

საქართველოს ენერგეტიკის
სამინისტრო

MINISTRY OF ENERGY
OF GEORGIA

3224-02-2-201508261644

N 02/3224
26/08/2015

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს

ბატონ ლაშა ხუციშვილს

ბატონო ლაშა,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2015 წლის 20 აგვისტოს N07-02/88848 წერილით გამოგზავნილი ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ (USAID) წარმოდგენილი „ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის 2010 წლის 25 თებერვალს ხელმოწერილი დახმარების შესახებ ხელშეკრულების" მეხუთე ცვლილების პროექტი, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს თავისი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,
მარიამ ვალიშვილი

მინისტრის მოადგილე

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

საქართველო,თბილისი 0105. სანაპიროს ქ.2: ტელ.:235 78 28; 235 78 01; ელ.ფოსტა: mail@energy.gov.ge
2 Sanapiro str., 0105 Tbilisi, Georgia; Tel.: +995 32 235 78 28; +995 32 235 78 01; e-mail: mail@energy.gov.ge , web: www.energy.gov.ge

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

N 07-02/93890
04/09/2015

93890-07-02-2-201509041326

## დასკვნა

### ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ამერიკის შეერთებული შტატებსა და საქართველოს შორის ხელმოწერილ დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში მეხუთე ცვლილების პროექტზე

„ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის" ამერიკის შეერთებული შტატებსა და საქართველოს შორის ხელმოწერილ დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში მეხუთე ცვლილების პროექტთან" დაკავშირებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია.

აღნიშნული ცვლილების გაფორმება საფინანსო-ეკონომიკური თვალსაზრისით მოსალოდნელია, რომ დადებით შედეგს მოიტანს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია მისი ხელმოწერა.

დავით ლეჟავა

მინისტრის მოადგილე

ქ.თბილისი, 0114, ვ. გორგასლის ქ. №16. ტელ.:2261412. ფაქსი: 2262409 ელ-ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: 2261412, Fax:2262409. E-mail: info@mof.ge

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა / Georgian State Electrosystem

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2, Baratashvili str., Tbilisi 0105, Georgia; ტელ./ფაქსი/Tel/Fax: +995 322 983704; +995 322 510101

3948-01-2-201509070936

N 3948/01

07/09/2015

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბ-ნ დავით ლეჟავას

*საგანი: ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ხელმოწერილ დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.*

ბატონო დავით,

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2015 წლის 4 სექტემბრით დათარიღებული N 07-02/93895 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ განვიხილეთ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ (USAID) წარმოდგენილი „ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ხელმოწერილ დახმარების შესახებ ხელშეკრულებაში მეხუთე ცვლილების პროექტი" და ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

სულხან ზუმბურიძე

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე

რეაბილიტაციის მმართველი